

ბიზნესის ადმინისტრირება

(სპეციალობები: ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)

კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერილობა	I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
				საუნივერსიტეტო და ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები							
SPCH0007		აკადემიური წერა და მეტყველების კულტურა	<p>კურსი ორიენტირებულია, სტუდენტებს ასწავლოს ქართულად წერის ხელოვნება, აუმაღლოს მეტყველების კულტურის დონე და დაეხმაროს აკადემიური ნაშრომის შესასრულებლად აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში. სტუდენტები შეძლებენ დამოუკიდებელ აკადემიურ კვლევას; შეისწავლიან საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ აკადემიური წერის პრინციპებს; პრაქტიკულ მეცადინეობებზე შეასრულებენ სპეციალურ სავარჯიშოებს, რომლებიც ხელს უწყობს ზეპირი და წერიტი მეტყველების დახვეწას; ისინი შეისწავლიან საქმის ქაღალდების (CV-ის, განცხადებების, სამოტივაციო წერილის...) შედგენას; გამოუმუშავებენ აზრის მწყობრად, არგუმენტირებულად და გამართულად ჩამოყალიბების, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების უნარები, წერილობითი ნაშრომის მომზადებისა და სათანადოდ გაფორმების უნარი; კურსი შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს, დაეუფლონ არგუმენტისა და კონტრარგუმენტის სწორად ფორმულირებას, მიზნისათვის შესაფერისი სტილის შერჩევას; ექნებათ პრეზენტაციები, დისკუსიები, ჩამოყალიბდებთ საჯარო გამოსვლის უნარ-ჩვევები.</p>	5							

HIST 0003		საქართველოს ისტორია	საქართველოს ისტორიის სასწავლო კურსი მოიცავს ჩვენი სამშობლოს ისტორიას საკვანძო საკითხებს უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე. იგი წარმოადგენს ლექციების ადაპტირებულ კურსს, სადაც განხილულია როგორც ქართველი ხალხის (ზოგჯერ, მისი მეზობელი, ან მის წარსულთან დაკავშირებული სხვა ხალხების) პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის ძირითადი, უმთავრესი ფაქტები.	5						
MATH 0001		პრეკალკულუსი ¹	კურსი წარმოადგენს კალკულუსის, წრფივი ალგებრის მათემატიკური კურსების საფუძველს. იგი ეძღვნება არითმეტიკის ძირითადი კანონების, ცვლად სიდიდეთა შორის ფუნქციონალური დამოკიდებულებების არსის, ელემენტარულ ფუნქციათა თვისებების, მათი შემცველი განტოლებების და უტოლობების ამოხსნადობასთან დაკავშირებულ ფუნდამენტური საკითხების სიღრმისეულ გააზრებას; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განხილული თანაფარდობების გრაფიკულ ილუსტრაციას, დაწვრილებით განიხილება განტოლებების და უტოლობების ამოხსნის ხერხები და მეთოდები. აზროვნების მათემატიკური წესის ფორმირების მიზნით ფართოდ გამოიყენება მათემატიკური დებულებების დასაბუთების მეთოდები.	5						
MATH 0003	MATH 0001	კალკულუს 1	კურსი წარმოადგენს საბაკალავრო მათემატიკური განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს. სიმრავლის ცნების და სიმრავლეებზე მოქმედებების, სიმრავლეთა ურთიერთმიმართებების ფუნდამენტური საკითხების შესწავლის საფუძველზე სიღრმისეულად განიხილება რიცხვითი ფუნქციების ცნება და თვისებები: შემოსაზღვრულობა, მონოტონურობა, ლუწობა-კენტობა და შექცევადობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რიცხვითი მიმდევრობების და ფუნქციების ზღვრების ცნებების და თვისებების შესწავლას, ზღვრების გამოთვლის მეთოდებსა და ხერხებს. მიღებული ცოდნის გამოყენებით ხდება ერთი ცვლადის ფუნქციების თვისებების გამოკვლევა და კლასიფიცირება უსასრულოდ დიდ და უსასრულოდ მცირე ფუნქციებად, უწყვეტ და წყვეტილ (პირველი და მეორე გვარის) ფუნქციებად. თეორიული ცოდნის	5						

¹ ის სტუდენტები, რომლებიც მათემატიკას არ აბარებენ ეროვნულ გამოცდებზე, მათთვის სავალდებულო იქნება პრეკალკულუსის აღება.

			<p>პრაქტიკულად რეალიზების მიზნით დაწვრილებით განიხილება: წრფივი მათემატიკური მოდელები (დანახარჯების, შემოსავლების, მოგების, მოთხოვნის, მიწოდების და ამორტიზაციის), ფინანსური მათემატიკის ზოგიერთი საკითხი (მარტივი, რთული და უწყვეტი პროცენტი, დისკონტირება), აგრეთვე პოლინომიალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის ერთი ალგორითმი.</p>								
MATH 0004	MATH 0003	კალკულუს 2	<p>კურსი წარმოადგენს საბაკალავრო მათემატიკური განათლების შემადგენელ ნაწილს. ის აწვითარებს იმ მათემატიკურ ჩვევებს, რომელიც აუცილებელია რეალური პრაქტიკული ამოცანების შესაბამისი მათემატიკური მოდელების გამოყენებისა და ანალიზისათვის. კურსში შეისწავლება დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის ელემენტები და მათი გამოყენებები. გაწარმოების ოპერაციის განხილვას თან მოსდევს ფუნქციის მინიმუმისა და მაქსიმუმის მოძებნის ამოცანები; განიხილება ლოკალური ექსტრემუმის ამოცანები ერთი და ორი ცვლადის ფუნქციებისათვის. განუსაზღვრელი ინტეგრალის ცნების შემოღების, მისი თვისებების და მოძებნის ძირითადი ხერხების შესწავლის შემდეგ შეისწავლება განსაზღვრული ინტეგრალი, მისი თვისებები და გამოთვლის მეთოდები (განსაზღვრული ინტეგრალის შემოღება ზღვრისა და რიმანის ჯამების საშუალებით. ნიუტონ-ლაიბნიცის ფორმულა) და განსაზღვრული ინტეგრალის გამოყენება ბრტყელი ფიგურის ფართობის გამოსათვლელად. ასევე შეისწავლება უმარტივესი პირველი რიგის დიფერენციალური განტოლება განცალკეადი ცვლადებით.</p>			5					
MATH 0002	MATH 0004	წრფივი ალგებრა	<p>კურსი საუნივერსიტეტო მათემატიკური განათლების შემადგენელი ნაწილია. ის შეიცავს შემდეგ თემებს: ვექტორები, წრფივად დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება, ბაზისი, აბსტრაქტული ვექტორული სივრცეები, წრფივი ქვესივრცეები; ოპერაციები მატრიცებზე; დეტერმინანტები; წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემები; ლონტივის მოთხოვნა-მიწოდების მოდელი; წრფივი დაპროგრამების ამოცანები და მათი ამოხსნის გეომეტრიული მეთოდი. ეს კურსი დაეხმარება სტუდენტს უკეთ გააცნობიეროს როგორ გამოიყენოს ბაზისური მათემატიკური პრინციპები და მეთოდები</p>				5				

			სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული ამოცანის ამოხსნისას.									
GENG 0001/ GENG 0003		B1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი/ B2.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. ეს სემესტრი, ერთი მხრივ, ემსახურება სტუდენტების არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი იგი გადაჰყავს ენის შესწავლის ახალ საფეხურზე (B1 დონე); კურსში გათვალისწინებულია ოთხივე ენობრივი კომპეტენცია - მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა. მოცემული სალექციო კურსისა და შემდეგი სემესტრის სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება B1 (CEFR) დონის შესაბამისი ცოდნა ოთხივე ენობრივ კომპეტენციაში (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა). საჭიროების შემთხვევაში შეძლებს B1 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატის აღებას.</p> <p>სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო KeyNote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერიტი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია დამატებითი საკითხავი და გრამატიკული მასალა. /</p>	2.5								
GENG 0002/ GENG 0004	GENG 0001/ GENG 0003	B1 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი/ B2 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთი მხრივ, ემსახურება უკვე არსებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი აქტივობისთვის საჭირო სპეციფიურ ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსი პირველი სემესტრის სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს; იგი ემსახურება ოთხივე ენობრივი კომპეტენციის - მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა - დახვეწასა და გაუმჯობესებას. კურსი სტუდენტს უყალიბებს ენაზე დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევებს. კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება B1 დონის (CEFR) სათანადო ენობრივი კომპეტენცია; საჭიროების</p>	2.5								

			<p>შემთხვევაში აიღებს B 1 დონის დამადასტურებელ სერთიფიკატს.</p> <p>სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო KeyNote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერიტი დავალებები. კურსში</p>								
GENG 0003/ GENG0005	GENG 0002/ GENG 0004	B2.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი/C1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	<p>მოცემული სალექციო კურსი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებაზე (B2 დონე), რაც კურსდამთავდებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს მეტყველების, მოსმენის, წერისა და კითხვის უნარ-ჩვევებს. მოცემული კურსი ქმნის ინგლისური ენის B2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) სრულად ათვისების წინაპირობას.</p> <p>სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო KeyNote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერიტი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია აკადემიური საკითხავი მასალა (Effective Reading 4).</p>			2.5					
GENG 0004/ GENG 0006	GENG 0003/ GENG0005	B2 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი/ C1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. იგი აქცენტირებულია, ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური და გრამატიკული მარაგის გაფართოებაზე, რაც კურსდამთავდებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები; ისაუბროს და წეროს B2 დონის ადეკვატური ენობრივი რესურსების გამოყენებით. კურსის ფარგლებში სტუდენტი ხვეწს სამეტყველო და წერილობით უნარ-ჩვევებს და ასრულებს ინგლისური ენის B2 დონის შესწავლას. მოცემული კურსის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტს ექნება ინგლისური ენის B2 დონის ცოდნა (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო), რასაც</p>			2.5					

			<p>საჭიროების შემთხვევაში დაადასტურებს მოცემული დონის სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარებითა და სათანადო სერთიფიკატის აღებით. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი ენას გამოიყენებს როგორც ყოველდღიურ ყოფით ურთიერთობებში, ასევე აკადემიური და სამსახურეობრივი მიზნებით.</p> <p>სასწავლო კურსში გამოყენებული სახელმძღვანელო KeyNote ყველაზე თანამედროვე მეთოდოლოგიას ეფუძნება. ყოველ ლექციაზე შეტანილია აუდიო მასალა (TED Talk), ზეპირმეტყველების, კითხვის უნარების გასაუმჯობესებელი სავარჯიშოები და წერითი დავალებები. კურსში ასევე შეტანილია აკადემიური საკითხავი მასალა (Effective Reading 4).</p>								
PENG 1100		<p>P1 პროფესიული ინგლისური ენა</p>	<p>სასწავლო კურსი წარმოადგენს პროფესიული ინგლისური ენის (ბიზნეს ინგლისურის) სწავლების პირველ ეტაპს, რომელიც სტუდენტს აცნობს თანამედროვე ბიზნეს სამყაროში ხშირად გამოყენებულ ცნებებს მათ არსს და ბიზნესის სამყაროს წინაშე არსებულ გამოწვევებს. კურსში განხილულია შემდეგი საკითხები და მათთან დაკავშირებული ლექსიკა: – ბრენდის არსი და რობა, მათი სახეობები; მოგზაურობა; ცვლილებები ბიზნეს ორგანიზაციაში; ორგანიზაციის ტიპები და ა.შ.</p> <p>წინამდებარე კურსი საშუალებას აძლევს სტუდენტს დახვეწოს ინგლისური ენის ოთხივე კომპეტენცია და დაეუფლოს ახალ უნარებს - მოსმენა საუბარი, კითხვა და წერა ბიზნეს თემების ირგვლივ. მოცემული კურსისა და ინგლისური ენის ზოგადი ნაწილის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი სრულყოფილად დაეუფლება ენის ოთხივე კომპეტენციას და შეეუძნება წარმოდგენა ბიზნეს სამყაროს შესახებ.</p>	2.5							
PENG 1200	PENG 1100	<p>P2 პროფესიული ინგლისური ენა</p>	<p>სასწავლო კურსი წარმოადგენს პროფესიული ინგლისური ენის (ბიზნეს ინგლისურის) სწავლების მეორე ეტაპს. იგი სტუდენტს აძლევს ზოგად ცოდნას ბიზნესის სფეროში საქმიანობის დაწყებისა და მართვისთვის. აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ბიზნესის სფეროში მოქმედ პრინციპებს, ზოგად თეორიებს, ბიზნესის კონცეფციებს, დარგის ახალ მიმართულებებს და მიდგომებს და ბიზნესის სტრატეგიებს; ამასთან ეცოდინება სათანადო ტერმინოლოგია, გაარჩევს</p>								

			<p>ბიზნესის სფეროში მუშაობის პრაქტიკულ მოდელებსა და ასპექტებს.</p> <p>კურსი სტუდენტს აცნობს თანამედროვე ბიზნეს სამყაროს წინაშე არსებულ ისეთ გამოწვევებს და მათთან დაკავშირებულ ლექსიკას, როგორებიცაა: კულტურათაშორისი განსხვავება; ბიზნეს ეთიკა; ფინანსური უწყისების ოთხი ტიპი; ადამიანური რესურსები ორგანიზაციაში; საერთაშორისო მარკეტინგი; სამართლიანი კუნძურენტული გარემოს არსი და სხვა.</p> <p>მოცემული კურსისა და ინგლისური ენის ზოგადი ნაწილის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი სრულყოფილად დაეუფლება ენის ოთხივე კომპეტენციას და შეძლებს სუბარს, მოსმენას, კითხვასა და წერას ბიზნეს საკითხების ირგვლივ.</p>		2.5						
PENG 2100	PENG 1200	P3 პროფესიული ინგლისური ენა	<p>სასწავლო კურსი წარმოადგენს პროფესიული ინგლისური ენის (ბიზნეს ინგლისურის) მესამე ეტაპს. კურსში შეტანილი მასალა განიხილავს თანამედროვე ბიზნესისა და სამართლებრივი გარემოს სხვადასხვა ასპექტებს: კომპანიის დაფუძნება და მისი მართვა; დირექტორთა საბჭო; კომპანიაში განხორციელებული ფუნდამენტალური ცვლილებები; პიროვნებათაშორის კომუნიკაციის პრობლემები; საერთაშორისო მარკეტინგი; წარმატებული მეწარმეები; მოტივაციის თეორია, რისკი; მენეჯმენტის განსხვავებული სტილი; კონტრაქტები – კონტრაქტის არსი და რაობა, კონტრაქტის მხარეები.</p> <p>წინამდებარე კურსი წინა ორი ეტაპის ლოგიკური გაგრძელებაა როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით ასევე ენის ზოგადი უნარების მხრივაც. იგი ემსახურება სტუდენტის არსებული კომპეტენციების განმტკიცება-გაღრმავების მიზანს და შემსწავლელი გადაწყვეტის ზოგადად ენის და პროფესიული უცხო ენის შესწავლის ახლა ეტაპზე.</p>			2.5					
PENG 2200	PENG 2100	P4 პროფესიული ინგლისური ენა	<p>წინამდებარე კურსი წინა სამი ეტაპის ლოგიკური გაგრძელებაა, როგორც შინაარსობრივი ასევე ოთხივე ენობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით. სტუდენტი სრულყოფილად ეუფლება ოთხივე</p>								

			<p>ენობრივი კომპეტენციის (მოსმენა, ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა) ბიზნეს გარემოში გამოყენების უნარს.</p> <p>მოცემული კურსისას და ინგლისური ენის ზოგადი ნაწილის სათანადო დონის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი სრულყოფილად დაეუფლება პროფესიულ ენას და შეძლებს მისი აკადემიური და სამსახურეობრივი მიზნებით გამოყენებას.</p>				2.5				
FREN0001		ფრანგული ენა A1.0	<p>ფრანგული ენის სწავლების I სემესტრში ფრანგული ენა ისწავლება ზოგადად.</p> <p>კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტესტებზე დაყრდნობით, დიდი ჯურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში.</p> <p>განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკული გამოყენება, საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე.</p>	5							
GERM0001		გერმანული ენა A1.0	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის პირველ ეტაპს. სწორედ ამ ეტაპზე იქმნება ის საფუძველი, რომელიც ყოველი მომდევნო საფეხურის წარმატებულად გავლის წინაპირობად ითვლება. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის, რომელიც ორ სემესტრს მოიცავს, წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აილოს A1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.</p>								
TURK0001		თურქული ენა A1.0	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს თურქული ენის, როგორც მეორე უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის პირველ ეტაპს. სწორედ ამ ეტაპზე იქმნება ის საფუძველი,</p>								

			რომელიც ყოველი მომდევნო საფეხურის წარმატებულად გავლის წინაპირობად ითვლება. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული, ორსემესტრიანი, სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს ა 1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი. პირველ სემესტრში ძირითადი სამუშაო თემებია: გაცნობა, ჰობი, ოჯახი, ნათესავები, მეგობრები და ა.შ.								
SPAN0001		ესპანური ენა A1.0	სასწავლო კურსი წარმოადგენს ზოგადი ესპანურის კურსს. კურსი მიმართულია სტუდენტებზე, რომლებიც პირველად ეცნობიან ესპანურ ენას და მისი მიზანია მიაღწიონ საბაზისო დონეს, რომელიც მათ მისცემს საშუალებას თავისუფლად და ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ყოველდღიურ ურთიერთობაში. სასწავლო კურსი დაფუძნებულია ახალ პედაგოგიურ მეთოდებზე, რომელიც მიმართულია მოსწავლის საკომუნიკაციო უნარჩვევებზე. კურსის დამთავრებისას სტუდენტს შეეძლება თავისუფლად იურთიერთოს სამომხმარებლო დონეზე.								
FREN0002	FREN0001	ფრანგული ენა A1	ფრანგული ენის სწავლების II სემესტრში ფრანგული ენა ისწავლება ზოგადად. კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები. ძირითადი ლექსიკური ერთეულების შესწავლა ხდება ყოფით და ინფორმაციული ხასიათის ტექსტებზე დაყრდნობით, დიდი ყურადღება ეთმობა ლექსიკის ათვისებას და მის გამოყენებას დიალოგურ მეტყველებაში. განსაკუთრებით აქტუალურია ფრაზების შედგენა შესწავლილი გრამატიკული და ლექსიკური კონსტრუქციებით და მათი პრაქტიკულად გამოყენება, საუბარი ელემენტარულ ყოფით თემებზე.		5						
GERM0002	GERM0001	გერმანული ენა A1	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეორე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიმყარებენ პირველი სემესტრის განმავლობაში შეძენილ უნარ-								

			ჩვევებს და მიიღებენ იმ ენობრივ ცოდნას, რომელიც სრულად შეესაბამება A 1 დონეს (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო). ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებული ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A1 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.								
TURK0002	TURK0001	თურქული ენა A1	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს თურქული ენის, როგორც მეორე უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეორე ეტაპს. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული, ორსემესტრიანი, სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს ა1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი. მეორე სემესტრში ძირითადი სამუშაო თემებია: თურქული/მსოფლიო სამზარეულო, უცხო ქვეყანაში ორიენტირება, მსოფლიო საოცრებები და სხვა.								
SPAN0002	SPAN0001	ესპანური ენა A1	სასწავლო კურსი წარმოადგენს ზოგადი ესპანურის კურსს. კურსი მიმართულია სტუდენტებზე, რომლებიც პირველად ეცნობიან ესპანურ ენას და მისი მიზანია მიაღწიონ საბაზისო დონეს, რომელიც მათ მისცემს საშუალებას თავისუფლად და ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ყოველდღიურ ურთიერთობაში. სასწავლო კურსი დაფუძნებულია ახალ პედაგოგიურ მეთოდებზე, რომელიც მიმართულია მოსწავლის საკომუნიკაციო უნარჩვევებზე. კურსის დამთავრებისას სდუდენტს შეეძლება თავისუფლად იურთიერთოს სამომხმარებლო დონეზე.								

FREN0003	FREN0002	ფრანგული ენა A2.0	<p>მოცემული სალექციო კურსი ორიენტირებულია ფრანგული ენის საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით A2 დონის შესწავლაზე. კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.</p>			5					
GERM0003	GERM0002	გერმანული ენა A2.0	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეოთხე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები განიმტკიცებენ ცოდნას, რომელსაც დაეუფლნენ წინა სამი სემესტრის განმავლობაში. გარდა ამისა, ისინი შეიძენენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც საჭიროა გერმანული ენის A2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) გამოცდის ჩასაბარებლად და შესაბამისი სერთიფიკატის მოსაპოვებლად. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება.</p>								
TURK0003	TURK0002	თურქული ენა A2.0	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს თურქული ენის, როგორც მეორე უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მესამე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიუმჯობესებენ უკვე შეძენილ ელემენტარულ ენობრივ უნარ-ჩვევებს და შეიძენენ დამატებით გრამატიკულ თუ ლექსიკურ ცოდნას, რომელიც მათ შედარებით კომპლექსურ კომუნიკაციურ სიტუაციაში შესაბამისი ენობრივი აქტივობის რეალიზების საშუალებას მისცემს. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი</p>								

			ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული, ორსემესტრიანი, სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A2.0 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი. ძირითადი საბუშაო თემებია: მსოფლიოს საინტერესო კუთხეები, მსოფლიო/თურქული ლეგენდები, თქმულებები და ა.შ.								
SPAN0003	SPAN0002	ესპანური ენა A2.0	სასწავლო კურსი წარმოადგენს ესპანური ენის საბაზისო კურსს. კურსი მიმართულია სტუდენტებზე, რომლებიც აგრძელებენ სწავლას და მისი მიზანია მიაღწიონ საბაზისო დონეს, რომელიც მათ მისცემს საშუალებას თავისუფლად და ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ყოველდღიურ ურთიერთობაში. სასწავლო კურსი დაფუძნებულია ისეთ პედაგოგიურ მეთოდებზე, რომელიც მიმართულია მოსწავლის საკომუნიკაციო უნარჩვევებზე. კურსის დამთავრებისას სტუდენტს შეეძლება იურთიერთოს სამომხმარებლო დონეზე ესპანურენოვან საზოგადოებას.								
FREN0004	FREN0003	ფრანგული ენა A2	მოცემული სალექციო კურსი ორიენტირებულია ფრანგული ენის საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით A2 დონის შესწავლაზე. კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.				5				

GERM0004	GERM0003	გერმანული ენა A2	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მესამე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიუმჯობესებენ უკვე შეძენილ ელემენტარულ ენობრივ უნარ-ჩვევებს და შეიძენენ დამატებით გრამატიკულ თუ ლექსიკურ ცოდნას, რომელიც მათ შედარებით კომპლექსურ კომუნიკაციურ სიტუაციაში შესაბამისი ენობრივი აქტივობის რეალიზების საშუალებას მისცემს. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული სალექციო კურსის, რომელიც ორ სემესტრს მოიცავს, წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სტუდენტს ექნებასათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს A 2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.</p>								
TURK0004	TURK0003	თურქული ენა A2	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს თურქული ენის (როგორც მეორე უცხო ენის) ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მესამე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიუმჯობესებენ უკვე შეძენილ ელემენტარულ ენობრივ უნარ-ჩვევებს და შეიძენენ დამატებით გრამატიკულ თუ ლექსიკურ ცოდნას, რომელიც მათ შედარებით კომპლექსურ კომუნიკაციურ სიტუაციაში შესაბამისი ენობრივი აქტივობის რეალიზების საშუალებას მისცემს. ზოგადი თვალსაზრისით, მოცემული კურსი ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, სადაც ორი და მეტი უცხო ენის ფლობა სპეციალისტის კვალიფიციურობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ კრიტერიუმად განიხილება. სრული, ორსემესტრიანი, სალექციო კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია იმისთვის, რომ აიღოს ა2 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი. ძირითადი სამუშაო თემებია: მას-მედია, ჯანსაღი ცხოვრება, მოგზაურობა და ა.შ.</p>								
SPAN0004	SPAN0003	ესპანური ენა A2	<p>სასწავლო კურსი წარმოადგენს ესპანური ენის საბაზისო კურსს. კურსი მიმართულია სტუდენტებზე, რომლებიც აგრძელებენ სწავლას და მისი მიზანია მიაღწიონ საბაზისო დონეს, რომელიც</p>								

			მათ მისცემს საშუალებას თავისუფლად და ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ყოველდღიურ ურთიერთობაში. სასწავლო კურსი დაფუძნებულია ისეთ პედაგოგიურ მეთოდებზე, რომელიც მიმართულია მოსწავლის საკომუნიკაციო უნარჩვევებზე. კურსის დამთავრებისას სტუდენტს შეეძლება იურთიერთოს სამომხმარებლო დონეზე ესპანურენოვან საზოგადოებას.								
FREN0005	FREN0004	ფრანგული ენა B1.0	ეს კურსი გამიზნულია იმ სტუდენტებისათვის, ვინც უკვე ფლობს ფრანგული ენის შესავალ ნაწილს (საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით A2 დონეს). კურსის მიზანია სტუდენტმა ეტაპობრივად ისწავლოს ენის დამოუკიდებლად გამოყენება, გაუმკლავდეს შესაძრწევად გაზრდილ ლექსიკურ მასალას. კურსი აღრმავებს უკვე გაცნობილ გრამატიკულ ცოდნას. ძირითადი სამუშაო თემებია: სასწავლო დაწესებულებები, საშუალო და უმაღლესი განათლება, სამსახური და დასაქმება, უმუშევრობა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, თავისუფალი დრო, მოგზაურობა, ემიგრაცია და მიგრაცია. აქცენტი გამახვილებულია ფრანგულენოვანი ქვეყნების შესახებ ინფორმაციებზე, ცხოვრების წესზე, ქალაქებზე, მათ კულტურულ მემკვიდრეობაზე და სტუდენტების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტს ათვისებული ექნება საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით B1 დონის დიპლომის მოსაპოვებლად ჩასაბარებელი მასალა, 4 კომპეტენციის გათვალისწინებით: წერა, კითხვა, ლაპარაკი და მოსმენა..					5			
GERM0005	GERM0004	გერმანული ენა B1.0	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს წარმოადგენს გერმანულის, როგორც (მეორე) უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეხუთე ეტაპს. ეს სემესტრი, ერთი მხრივ, ემსახურება უკვე შეძენილი პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი, ქმნის საფუძველს იმ კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც კურსდამთავრებულს აუთენტურ ენობრივ-კულტურულ გარემოში ორიენტაციის საშუალებას მისცემს. შემოთავაზებული კურსი აქცენტირებულია ზოგადი ენობრივი (კომუნიკაციური, ლექსიკური, გრამატიკული) უნარების შეძენა-გაფართოება-სისტემატიზაციაზე და ქმნის წინაპირობას B1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო)								

			შესაბამისი ენობრივი კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად.										
TURK0005	TURK0004	თურქული ენა B1.0	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს თურქული ენის, როგორც მეორე უცხო ენის, ექვსსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეხუთე ეტაპს. ეს სემესტრი, ერთი მხრივ, ემსახურება რეკეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ-ჩვევების დახვეწას, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებას, რის საფუძველზეც კურსდამთავრებული შეძლებს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშოს კომპლექსური ტექსტები. განსახილველი თემებია: დასაქმება, უმუშევრობის პრობლემები, კარიერა, წარმატება და წარმატებული ადამიანები, თანამედროვეობის ტენდენციები, განათლების სისტემა, სასწავლო დაწესებულებები, თანამედროვე და კლასიკური ხელოვნება, ჯანმრთელობა და სპორტი, მოდის ტენდენციები, მისი გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე. შემოთავაზებული კურსი აქცენტირებულია ზოგადი ენობრივი უნარების შეძენა-გაფართოება-სისტემატიზაციზე და ქმნის წინაპირობას B1.0 დონის (შეფასების ზოგადევრობული ერთიანი ჩარჩო) შესაბამისი ენობრივი კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად.										
SPAN0005	SPAN0004	ესპანური ენა B1.0	სასწავლო კურსი წარმოადგენს საბაზისო ესპანურის კურსს. მოცემულ კურსი მიმართულია იმ სყუდენტებზე, რომლებსაც უკვე აქვთ საბაზისო დონე და აგრძელებენ ესპანური ენის შესწავლას უფრო საფუძვლიანად. რომელიც მათ მისცემს საშუალებას თავისუფლად და ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ყოველდღიურ ურთიერთობაში. სასწავლო კურსი დაფუძნებულია თანამედროვე პედაგოგიურ მეთოდებზე, რომელიც მიმართულია მოსწავლის საკომუნიკაციო უნარჩვევებზე. კურსის დამთავრებისას სდუდენტს შეეძლება თავისუფლად იურთიერთოს სამომხმარებლო დონეზე.										
FREN0006	FREN0005	ფრანგული ენა B1	ფრანგული ენისა III კურსის მეორე სემესტრი აქამდე შესწავლილი მასალის კონსოლიდაციას ითვალისწინებს. პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე სტუდენტებს უკვე შეუძლიათ აღწერონ და გვესაუბრონ ამა თუ იმ მოვლენაზე. ყოველი ლექცია გულისხმობს მოსმენისა და კითხვის უნარჩვევებზე მუშაობას, თანამედროვე										

			პრობლემატიკაზე დაყრდნობით ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. გამოიყენება შემეცნებითი ხასიათის ტექსტები ინტერნეტიდან. ყურადღება მახვილდება ანალიტიკურ კითხვასა და ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის კატეგორიებად დაყოფაზე, მთვარი აზრის გამოყოფაზე, პერიფრაზირებისა და ნაგულისხმევი და მკაფიოდ გამოხატული ინფორმაციის შედარებაზე. აქცენტი კეთდება აზრის წერილობით გადმოცემის უნარის განვითარებაზე.								
GERM0006	GERM0005	გერმანული ენა B1	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს ძირითადი უცხო ენის პრაქტიკული ექვსემესტრიანი კურსის მეექვსე ეტაპს. კურსის ფარგლებში სტუდენტები აქტიურად ეცნობიან თანამედროვე გერმანულენოვანი მასმედიის ენას და აქცენტირებულად მუშაობენ სამეტყველო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, გრძელდება მუშაობა სხვადასხვა კომუნიკაციური სიტუაციებისთვის აუცილებელ ლექსიკურ მასალაზე. სტუდენტები ასევე ეცნობიან ნახევრადოფიციალური და ოფიციალური წერილების შედგენის ძირითად თავისებურებებს. ისინი მუშაობენ ისეთ თემებზე, როგორებიცაა: კვალიფიკაციის ამაღლება, ტურიზმი, პოლიტიკა და საზოგადოება, გარემო და კლიმატი და ა.შ. ეცნობიან ისეთ გრამატიკულ საკითხებს, როგორებიცაა: მაქვემდებარებელი კავშირების, ვნებითი გვარის და ბრძანებითი კილოს გამოყენების სპეციფიკა, ასევე იმეორებენ ზედსართავი სახელის ხარისხების, ზმნის პარტიციპული ფორმების, ინფინიტური წინადადებების და უარყოფის ფორმების თავისებურებებს.</p> <p>გარდა ამისა, მოცემული კურსი მიზნად ისახავს, ზოგადი ენობრივი უნარების გამტკიცება-გაფართოებას, რის შედეგადაც კურსდამთავრებული იქნეს B1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) შესაბამის ენობრივ კომპეტენციას.</p>								
TURK0006	TURK0005	თურქული ენა B1	<p>მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს თურქული ენის, როგორც მეორე უცხო ენის, ექვსემესტრიანი პრაქტიკული კურსის მეექვსე ეტაპს. ეს სემესტრი, ერთი მხრივ, ემსახურება უკვე შეძენილი პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი, ქმნის საფუძველს იმ კომპეტენციების შესაძენად,</p>								

			რომლებიც კურსდამთავრებულს აუთენტურ ენობრივ-კულტურულ გარემოში ორიენტაციის საშუალებას მისცემს. კურსდამთავრებულს ექნება საკმარისი ენობრივი ცოდნა რიგი საკითხების გარშემო (აღმოჩენები, გამოგონებები, დედა ბუნება, კინო სამყარო, კულტურული მემკვიდრეობები, დღესასწაულები და ა.შ.) შემოთავაზებული კურსი აქცენტირებულია ზოგადი ენობრივი (კომუნიკაციური, ლექსიკური, გრამატიკული) უნარების შეძენა-გაფართოება-სისტემატიზაციაზე და ქმნის წინაპირობას B1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) შესაბამისი ენობრივი კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად.								
SPAN0006	SPAN0005	ესპანური ენა B1	სასწავლო კურსი წარმოადგენს საბაზისო ესპანურის კურსს. მოცემულ კურსი მიმართულია იმ სყუდენტებზე, რომლებსაც უკვე აქვთ საბაზისო დონე და აგრძელებენ ესპანური ენის შესწავლას უფრო საფუძვლიანად. რომელიც მათ მისცემს საშუალებას თავისუფლად და ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა ყოველდღიურ ურთიერთობაში. სასწავლო კურსი დაფუძნებულია თანამედროვე პედაგოგიურ მეთოდებზე, რომელიც მიმართულია მოსწავლის საკომუნიკაციო უნარჩვევებზე. კურსის დამთავრებისას სდუდენტს შეეძლება თავისუფლად იურთიერთოს სამომხმარებლო დონეზე.								
INTE 1110		საინფორმაციო ტექნოლოგიები I	კურსი უზრუნველყოფს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების შესწავლას, რომელთა გამოყენება ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას, სტუდენტთა შემოქმედებითობისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პრობლემებზე დაფუძნებული კონსტრუქციული გადაწყვეტილების მისაღებად; ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს: <ul style="list-style-type: none"> • ინფორმაცია, ინფორმაციის საზომი ერთეულები • კომპიუტერის არქიტექტურა • ოპერაციული სისტემა Windows 10 • ინტერნეტ-ტექნოლოგიები • გუგლის აპლიკაციები • ონლაინ პრეზენტაციის ინსტრუმენტი (Prezi.com) საოფისე პროგრამები (MS PowerPoint	2.5							

			Presentation)								
INTE 1210	INTE 1110	საინფორმაციო ტექნოლოგიები 2	<p>კურსი უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაზისო კონცეფციების შესწავლას, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე საშუალებათა გამოყენების თვალსაზრისით. ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს ტექსტურ რედაქტორთან მუშაობის საკითხებს.</p> <p>სასწავლო კურსში შეისწავლება ტექსტური რედაქტორის მუშაობის ძირითადი პრინციპები, მისი საშუალებით დოკუმენტის შექმნა, რედაქტირება, დაფორმატება, ცხრილების და სხვა გრაფიკული გამოსახულების ჩასმა,</p>	2.5							
INTE 2110	I INTE 1210	საინფორმაციო ტექნოლოგიები 3	<p>კურსი უზრუნველყოფს პროგრამული პროდუქტი MICROSOFT EXCEL-ის შესწავლას, ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის ინტერფეისის ელემენტები; • მონაცემთა შეტანა და ფორმატირება; • სამისამართო სისტემა; • ფორმულები და ფუნქციები; • მონაცემთა ანალიზი; • დიაგრამები, ცხრილები, დინამიური ცხრილები; • მონაცემთა კონტროლი; • მაკროსი; <p>სამუშაო წიგნისა და გვერდის დაცვა.</p>	3.5							
INTE 2210	NTE 2110	საინფორმაციო ტექნოლოგიები 4	<p>კურსი უზრუნველყოფს პროგრამული პროდუქტების - MS ACCESS, MS PROJECT და SPSS – ის საფუძვლების შესწავლას. კურსი დაეხმარება სტუდენტს მიიღოს აღნიშნულ პროგრამულ პროდუქტებთან მუშაობის გამოცდილება. შედეგად სტუდენტი შესძლებს მათ გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში, სხვადასხვა ტიპის ბიზნეს ამოცანების გადაჭრისას. კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ბაზების აგება და მართვა MS ACCESS -ის მეშვეობით, • პროექტების დაგეგმვა და მართვა MS PROJECT-ის მეშვეობით, <p>სხვადასხვა ტიპის ბიზნეს კვლევის შედეგების ანალიზი SPSS-ის გამოყენებით.</p>	3.5							

ECON 2110		მიკროეკონომიკის საფუძვლები	მიკროეკონომიკის სასწავლო კურსი სტუდენტს მისცემს აუცილებელ თეორიულ ცოდნას მიკროეკონომიკის ძირითადი კატეგორიების, პრინციპების, მეთოდების, კანონზომიერებების და ინსტრუმენტების შესახებ, რათა სტუდენტებმა შეძლონ ეკონომიკური პროცესების გაანალიზება და სწორი გადაწყვეტილების მიღება, ბიზნეს-პარტნიორებთან ერთად ეკონომიკური საქმიანობის მიკრო გარემოს ანალიზი და მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავება.	5							
ECON 2210	ECON 2110	მაკროეკონომიკის საფუძვლები	კურსი გააცნობს სტუდენტებს მაკროეკონომიკის ძირითად ცნებებს, მეთოდებსა და პრინციპებს. გადმოცემულია ეკონომიკური სისტემის, როგორც მთლიანის, შესწავლის გზები, მეთოდები და შედეგები. აღწერილია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების (მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდა) შინაარსი და გაზომვის მეთოდები, ფინანსური სისტემის შემადგენელი ნაწილები და ფუნქციონირების პრინციპები, მთავრობის მიერ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარების მიზნები, საშუალებები და შედეგები, ღია ეკონომიკის ფუნქციონირებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი პრინციპები.	5							
ACCT 2110		ფინანსური აღრიცხვა	კურსი მოიცავს ფინანსური ინფორმაციის დამუშავების ეტაპებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებს, ტრანზაქციების ანგარიშგებაში და უწყისებში ასახვას, მოგება-ზარალის ანგარიშგება, ფულადი სახსრების ანგარიშგების უწყისების შედგენა და მათი კავშირი საბალანსო ანგარიშგებასთან. კურსი დეტალურად გადის ბუღალტრული ციკლის ყველა ეტაპს და დეტალურად შეისწავლის ყველა ანგარიშს, რომელიც გამოიყენება სააღრიცხვო პროცესში. კურსი ასევე განიხილავს ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით მიღებული კოეფიციენტების ანალიზის ძირითად პრინციპებს და მათ გამოყენებას გადაწყვეტილებების მიღებისას.	5							

ACCT 2210	ACCT 2110	მენეჯერული აღრიცხვა	კურსი სწავლობს დანახარჯთა გადანაწილების სხვადასხვა მეთოდს, ბიუჯეტირებას, წარმოებული რაოდენობისა და დანახარჯების ურთიერთკავშირს.				5				
BUSA 2110		ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები	აღნიშნული კურსი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ბიზნესის მარეგულირებელი ნორმების შესწავლას. ამ თვალსაზრისით კურსის სწავლებისას განხილული იქნება სამართლისა და ბიზნესის აქტუალური და პრობლემატური საკითხები. აღნიშნული კურსი ითვალისწინებს შემდეგი საკითხების შესწავლას: კორპორაციული(სამეწარმეო) სამართალი - მისი ძირითადი ასპექტები, სახელმწიფოებო სამართალი - ზოგადი დებულებანი და პრაქტიკაში გამოყენებადი ხელშეკრულებები (ნასყიდობა, ქირავნობა, იჯარა, ლიზინგი და სხვა), მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებანი (გირავნობა, იპოთეკა, თავდებობა და სხვა), საქართველოს საგადასახადო სისტემის ზოგადი დახასიათება, შრომითი და სავაჭრო ურთიერთობათა ძირითადი დებულებანი, გაკოტრებისა და არბიტრაჟის დავები.			5					
MK 2210		მარკეტინგის საფუძვლები	კურსი წარმოაჩენს მარკეტინგს, როგორც მენეჯმენტის პროცესს. მისი წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს უკეთესი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღებას, იმის გათვალისწინებით რომ ეცოდინება, თუ როგორ უნდა შეაფასოს გარემო, როგორ დაგეგმოს და წარმართოს მარკეტინგული ფუნქციები და განსაზღვროს, თუ რა ელემენტებია უფრო მნიშვნელოვანი მომხმარებლისათვის, როცა იღებს გადაწყვეტილებას რაიმე საქონლის შეძენასთან დაკავშირებით. საგანი იხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მარკეტინგული ინფორმაციის მართვა, პროდუქტისა და მომსახურების კონცეფციების ჩამოყალიბება, მათი შემდგომი მართვა; ასევე გადაწყვეტილებები ფასთან, დისტრიბუციასთან და მარკეტინგულ კომუნიკაციასთან დაკავშირებით. კურსის გავლის დროს განიხილება თუ როგორ უნდა დალაგდეს საბაზრო ინფორმაცია და გადაწყვეტილებები სტრატეგიულ დაგეგმვაში რაც ეხმარება ორგანიზაციას კომერციული წარმატების მოპოვებაში.			5					

BUSA 3110		ბიზნეს კომუნიკაცია	კურსის საშუალებით სტუდენტები გაეცნობიან ეფექტური ბიზნეს კომუნიკაციის პრინციპებს, რაც მოიცავს სამუშაო გარემოში ეფექტური კომუნიკაციისა და სამუშაო გუნდში კომუნიკაციის განვითარების სხვადასხვა მეთოდების, ფორმებისა და ტექნიკების ცოდნას.					5			
MGS 3114		მენეჯმენტის საფუძვლები	საგანი შეასწავლის სტუდენტს მენეჯმენტის საწყისების თეორიულ ნაწილს. სტუდენტები გაეცნობიან ძირეულ პრინციპებს და შეძლებენ არსებული პრინციპების გაანალიზების გზით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებას.					5			
STAT 3110		ბიზნეს სტატისტიკა	ბიზნეს სტატისტიკა წარმოადგენს ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის ერთ-ერთ ძირითად კურსს. კურსი მოიცავს საფუძვლიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, როგორ უნდა მოხდეს მათი პირველადი დამუშავება და ინტერპრეტაცია. აგრეთვე, როგორ უნდა მოხდეს ამ მონაცემების გააზრება, ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. კურსის შინაარსი მოიცავს კლასიკურ სტატისტიკურ მეთოდებს: სტატისტიკის ძირითადი ცნებები, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა წარმოდგენა ცხრილების და გრაფიკების სახით, ხდომილობები და ალბათობის თეორიის საფუძვლები, ალბათური განაწილებები, დისკრეტული და უწყვეტი შემთხვევითი სიდიდეები, ამორჩევები და ამორჩევათა განაწილებები, ამორჩევის საშუალოსა და პროპორციის განაწილებები, პარამეტრების შეფასებები, დასაშვები და ნდობის ინტერვალების აგება, ჰიპოთეზების შემუშავება და შემოწმება.					5			
FI 3110	ACCT 2110	ფინანსების შესავალი	ფინანსების შესავალი კურსი სავალდებულო საგანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხის მაძიებელი ყველა სტუდენტისთვის. სასწავლო კურსი სტუდენტს აძლევს ფართო საბაზისო ცოდნას ფინანსური დისციპლინის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ. კურსი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ფინანსური გარემო, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, ფულის ღირებულება დროში, რისკი და უკუგება, ფინანსური უწყისების ანალიზი, ბიუჯეტირება და საინვესტიციო პროექტების შეფასება.					5			

CSR 3113		კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	<p>კურსი მოიცავს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული კონცეფციების, ტერმინების, სამეცნიერო თეორიების, რეგულირების ძირითადი საერთაშორისი ინსტრუმენტებისა და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილების ზოგად მიმოხილვას, ასევე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცალკეული თემებისა და კომპონენტების უფრო დაწვრილებით განხილვას, როგორცაა: დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა, ბიზნეს ეთიკა და ანტიკორუფცია, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, ადამიანის უფლებებისა და შრომითი სტანდარტების დაცვა, მომხმარებლებთან პასუხისმგებელი ურთიერთობა, სათემო პროგრამები და ფილანთროპია, სოციალური და ეკო ეტიკეტირება, პასუხისმგებელი მოხმარება და სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება.</p> <p>კურსში განხილულია კომპანიის საქმიანობაში აღნიშნული CSR მიდგომების დანერგვისა და განხორციელების მექანიზმები, ერთიანი CSR სტრატეგიის შედგენისა და განხორციელების ეტაპები. კურსი ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ გარემოს და ქართულ კომპანიათა გამოცდილებას ამ სფეროში.</p>					3			
STAT 3210	STAT 3110, INTE 2110	მონაცემთა ანალიზი და ბიზნესის მოდელირება	<p>კურსი დაეხმარება სტუდენტს მიიღოს გამოცდილება და ცოდნა, შეასრულოს მონაცემთა ანალიზი და მიღებული შედეგი აქციოს ოპტიმალურ გადაწყვეტილებად თუ შემაფასებელ წინადადებად.</p> <p>კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ოპტიმალური არჩევანის შესრულება შეზღუდული რესურსების პირობებში; • გრაფიკების, ჰისტოგრამებისა და სხვა ფუნქციონალური ფორმების შექმნა; • მოთხოვნა-მიწოდებისა თუ სხვადასხვა ტიპის დანახარჯების მინიმიზაციისა ან მოგების მაქსიმიზაციისათვის ოპტიმიზაციის ამოცანების დასმა-გადაწყვეტა; • ოპტიმალური არჩევანის შესრულება ფინანსური პორტფოლიოს მართვაში; • გადაწყვეტილების ხეების აგება; 					5			

			<ul style="list-style-type: none"> • აპროქსიმაციები უმცირეს კვადრატთა, პოლინომიური და ექსპონენციალური მეთოდებით; • პროგნოზირება, ჰიპოტეზების ტესტირება და სტატისტიკური ანალიზის შედეგად დასკვნების გაკეთება; <p>სტუდენტი მონაცემთა ანალიზისა და სტატისტიკური ანალიზის შესრულებისათვის გამოიყენებს EXCEL-სა და SPSS-ის საშუალებებს.</p>								
MGS 3215	MGS 3114	ლიდერობა	<p>მოცემული კურსის ძირითადი მიზანია განავითაროს სტუდენტის მართვის უნარები, რათა მათ შეძლონ საუკეთესო იდეების დანერგვა და განხორციელება ორგანიზაციებში. ამ მიზანს ესმახურება ლიდერობის სხვადასხვა ძირითადი პრინციპის სწავლება. ეს პრინციპები მოიცავს შემდეგს: ინდივიდის მიერ საკუთარი თავის შეცნობა, სტრესთან გამკლავება, პრობლემების მართვა, მოტივაცია და კონფლიქტების მართვა ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, ძალაუფლება და გუნდის გაძლიერების მექანიზმები.</p>						5		
MGS 4110	MGS 3114	სტრატეგიული მართვა	<p>კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან სტრატეგიული მენეჯმენტის ცნებებს, სტრატეგიული მართვის თეორიებს, სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინსტრუმენტებს, სტრატეგიის განხორციელების ეტაპებს, მონიტორინგის და შეფასების მეთოდებს და გააცნობიერებენ სტრატეგიული გეგმის როლს ორგანიზაციაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სტუდენტები, ასევე გაეცნობიან ორგანიზაციის შიდა რესურსების და შესაძლებლობების, შედარებითი უპირატესობის განსაზღვრის ინსტრუმენტებს, შეისწავლიან ორგანიზაციის გარემოს სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების მეთოდებს, სტრატეგიული რისკების იდენტიფიცირების და მათი შეფასების ინსტრუმენტებს</p>							5	

<p>BUSA 4215</p>		<p>ბიზნესის გეგმის განვითარება</p>	<p>მოცემული კურსი წარმოადგენს ახალი ბიზნესის დაწყებისათვის ან არსებული ბიზნესის ახალი წამოწყებისათვის საჭირო ანალიტიკური სამუშაოს ჩატარებისა და საჭირო დოკუმენტის შექმნის პროცესს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ფინანსური სახსრების მოზიდვა. კურსი სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას შეაფასოს ნებისმიერი ბიზნესის ძირითადი შესაძლებლობები და განვითარების პერსპექტივები. კონკრეტულად იგი შეძლებს, ბიზნესისათვის დაწეროს მისია, ჩამოაყალიბოს მოკლე და გრძელვადიანი მიზნები, მოახდინოს ბიზნესის რეალურობისა და მიზნის მიღწევადობის ანალიზი (Feasibility Study) ინდუსტრიის, ბაზრისა და კონკურენტების შესწავლის და კვლევის საფუძველზე და შეიმუშავოს ეფექტური ბიზნეს მოდელი. ამასთან, კურსის მიზანია სტუდენტმა ეფექტურად გამოიყენოს ფინანსური დაგეგმარებისა და ინვესტიციის მიზანშეწონილობის შესაფასებელი ინსტრუმენტები. განავითაროს ბიზნეს გეგმა ნებისმიერი საქმიანობისათვის – წარმოება, სერვისი, მცირე თუ მსხვილი საწარმო, მომგებიანი თუ არამომგებიანი ორგანიზაცია და ა.შ. შედეგად, სტუდენტმა უნდა შეძლოს ბიზნეს გეგმის პრეზენტაცია ეფექტურად ინვესტორის, მფლობელის, თუ სხვა დაინტერესებული მხარისათვის გასაგებ ენაზე.</p>								<p>5</p>
------------------	--	------------------------------------	---	--	--	--	--	--	--	--	----------

საუნივერსიტეტო არჩევითი საგნები

<p>HIST 0001</p>		<p>მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია</p>	<p>სასწავლო კურსი „მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია“ ანალიტიკური და კრიტიკული სწავლების ელემენტების საშუალებით სტუდენტებს შეასწავლის კაცობრიობის არსებობის მანძილზე ადამიანის მიერ შექმნილ სულიერ და ნივთიერ ღირებულებებს. თანამედროვე ეტაპზე, როცა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გლობალური ურთიერთკავშირი, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მსოფლიო ისტორიის გააზრებამ და მასში ცალკეული ქვეყნების თუ ხალხების ადგილის განსაზღვრამ, ცივილიზაციური მოდელების შექმნამ, კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან ცივილიზაციათა სამ ტიპს: 1) ციკლური განვითარების ცივილიზაციებს (აღმოსავლური ცივილიზაციები); 2) პროგრესული განვითარების</p>	<p>5</p>							
------------------	--	-------------------------------------	---	----------	--	--	--	--	--	--	--

			ცივილიზაციებს (დასავლური ცივილიზაციები); 3) არაპროგრამული განვითარების ცივილიზაციებს (კოლუმბამდელი ამერიკის ცივილიზაციები), აგრეთვე ახალი დროის ცივილიზაციებს. სტუდენტი მიიღებს თითოეული ამ ცივილიზაციური მოდელის ისეთი ძირითადი პარამეტრების ცოდნას როგორცაა: ენა, დამწერლობა, რელიგია, არქიტექტურა, ლიტერატურა, კანონმდებლობა, მითოლოგია, თეატრი და სხვა.								
GEOP 0008		მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია	კურსი განმარტავს მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, მნიშვნელობას, აქტუალობას, მიზანსა და კავშირს სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან. მასში კონცენტრირებულადაა განხილული და დახასიათებული მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის უმნიშვნელოვანესი თემატური მიმართულებები: სოციალური გეოგრაფია, ეკონომიკური გეოგრაფია და პოლიტიკური გეოგრაფია. კურსი მიმოიხილავს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებს, რითაც მოცემულია პასუხები რეგიონების განსხვავებული განვითარების მიზეზების გასაგებათ.								
SOCI 0004		სოციოლოგიის შესავალი	კურსის მიმდინარეობის დროს მიმოიხილული იქნება შემდეგი თემები: <ul style="list-style-type: none"> • მეცნიერება საზოგადოების შესახებ • სოციოლოგიური პერსპექტივა. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. • ინდივიდი და საზოგადოება • სოციალური ურთიერთქმედების სტრუქტურა. კულტურა. სოციალიზაცია და იდენტობა სიცოცხლის განმავლობაში. დევიაცია და დანაშაული. • განსხვავება და უთანასწორობა • კლასი და სტრატეფიკაცია. რასა და ეთნოსი. სქესი და გენდერი. თაობები და მოსახლეობის დაბერება. • სოციალური ინსტიტუტები • ოჯახი. განათლება. რელიგია. ჯანმრთელობა და ჯანდაცვა. • სოციალური ცვლილებები და გლობალიზაცია • სამუშაო, ორგანიზაციები და ეკონომიკა. სახელმწიფო და პოლიტიკა. გლობალური ინტეგრაცია და გლობალური უთანასწორობა. 								

			<p>შესაძლებლობა, შეიქმნას საგადასახადო დაბეგვრის ძირითადი პრინციპები და გაეცნონ როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ გადასახადებს, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> - საშემოსავლო გადასახადი; - მოგების გადასახადი; - მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი; - დამატებული ღირებულების გადასახადი; - აქციზი; - იმპორტის გადასახადი; <p>გარდა ამისა, კურსი მოიცავს საერთაშორისო დაბეგვრასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების პრინციპები და სატრანსფერო ფასწარმოქმნა.</p>						5		
FI 3212	FI 3110	კორპორაციული ფინანსები	<p>კორპორაციული ფინანსები საბაზისო კურსია ფინანსების სპეციალობით დაინტერესებული სტუდენტებისათვის. სასწავლო კურსი მსმენელს უვითარებს თეორიულ ბაზას საბაზრო ეკონომიკის პირობებში კომპანიების წინაშე არსებული ძირითადი ფინანსური პრობლემების გასაანალიზებლად. იგი იძლევა საჭირო ცოდნას ფინანსური გადაწყვეტილებების შესაფასებლად. კურსი მოიცავს კაპიტალის შეფასების ძირითად მოდელებს, ფინანსური უწყისების ანალიზს, ფინანსური აქტივების შეფასებას, საპროცენტო განაკვეთის, რისკისა და უკუგების განხილვას, კაპიტალის სტრუქტურის შერჩევას, კაპიტალის ბიუჯეტირების გამოთვლას, დერივატივებისა და სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გაცნობას.</p>						5		
FI 4112	FI 3110	ინვესტიციები	<p>წინამდებარე კურსი შეისწავლის ფინანსურ აქტივებში ინვესტიციების განხორციელების საკითხებს. საინვესტიციო პროცესთან დაკავშირებით განიხილება საინვესტიციო ბაზრები, ფინანსური აქტივები, მათი ანალიზის, შეფასების მეთოდები და თეორიები, საინვესტიციო პორტფელის შედგენის, შეფასების, მონიტორინგისა და ლიკვიდაციის საკითხები. კურსში განხილულია საინვესტიციო ბაზრების</p>							5	

			<p>ფუნქციონირების, ინფრასტრუქტურისა და ფინანსური გარემოს არსის, მნიშვნელობისა და გამოყენების თემები. კურსი სახელმწიფოს და კომპანიების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მახასიათებლების დადგენასა და შეფასებას მოიცავს. აგრეთვე, კურსი მოიცავს ინვესტიციების განხორციელების ხერხებს, მათი შემოსავლიანობისა და რისკიანობის შეფასების ეკონომიკურ მნიშვნელობას და გამოყენებას ზოგად საფინანსო საქმიანობაში.</p>									
FI 4111	FI 3211	ფინანსური უწყისების ანალიზი	<p>ფინანსური უწყისების ანალიზის პრაქტიკული ცოდნა ფუნდამენტური უნარია ფინანსურ სფეროში მომუშავე ყველა სპეციალისტისთვის. კურსი შეისწავლის კომპანიების ეკონომიკური აქტივობის შეფასებას ფინანსური უწყისების გამოყენებით. მასში განხილულია ბალანსის, მოგებაზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის ურთიერთკავშირი და მათი ანალიზის საფუძველზე კომპანიების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოაშკარავება. შედეგად, წინამდებარე კურსი შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტს მისცეს ამომწურავი ცოდნა როგორც ფინანსური უწყისების ინტერპრეტაციის, ისე მათი პრაქტიკული გამოყენების მიმართულებით.</p>							5		
FI 4113	FI 3212	საბანკო საქმე	<p>კურსი სტუდენტებს შეასწავლის საბანკო სისტემის მუშაობის ფუნდამენტურ პრინციპებს. მასში განხილულია საფინანსო და საბანკო სფეროს მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კრილში, საბანკო საქმიანობის რეგულირების ინსტრუმენტები, ბანკის მმართველობითი სტრუქტურა, საბანკო პროდუქტები, საბანკო რისკების შეფასების და მართვის მეთოდები, ბანკის საკუთარი კაპიტალის მნიშვნელობა და მოცულობა, ბანკის ფინანსური ანგარიშგების თავისებურებანი და ანალიზი. კურსი მიმოიხილავს როგორც განვითარებული ბაზრების, ისე საქართველოს საბანკო სისტემის, რეგულაციებს, პროდუქტებს და მართვის პრაქტიკას.</p>							5		
FI 4114	FI 3212	საერთაშორისო ფინანსები	<p>კურსი შეისწავლის საერთაშორისო ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს. იგი ეხება საერთაშორისო ბაზრებზე ფინანსური</p>									

			და საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენების საკითხებს. მასში განხილულია პორტფელში შემავალი ფინანსური აქტივების ანალიზის მეთოდები და იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ პორტფელის ღირებულებაზე, შემოსავლიანობაზე და რისკიანობაზე. სასწავლო კურსი მიმოიხილავს სხვადასხვა პორტფელურ თეორიას, პორტფელის სახეობებს, აქტივების განაწილების მეთოდებს და გლობალური პორტფელის მართვის მეთოდებს.									5
<i>ფინანსების მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები</i>												
FI 4118		ფინანსური ინსტიტუტების მართვა	კურსი მოიცავს ფინანსური ბაზრების, ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მუშაობის მიმართულებებს. მასში განხილულია ფინანსური სისტემის მონაწილეთა ანალიზი და იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაზე. სასწავლო კურსი მიმოიხილავს ფინანსური შუამავლებისა და სახელმწიფოს როლს ქვეყნის ფინანსური სისტემის განვითარების საკითხში.								5	
FI 4219		მონეტარული პოლიტიკა	მონეტარული პოლიტიკა არჩევითი საგანია ფინანსების სპეციალობის ბაკალავრის ხარისხის მაძიებელი სტუდენტებისათვის. კურსი მსმენელს შეასწავლის ფულის მოთხოვნისა და მიწოდების სხვადასხვა თეორიებს, საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსების ცვლილების გამომწვევ მიზეზებს, ინფლაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმებს, მონეტარული პოლიტიკის მიზნებსა და ინსტრუმენტებს, ეროვნული ბანკის მუშაობის პრინციპს. კურსი მოიცავს სხვადასხვა მიმართულებების სინთეზურ ანალიზს, როგორცაა: მონეტარული პოლიტიკის გავლენა მთლიან შიდა პროდუქტზე, ფინანსური სისტემის როლი რეალურ ეკონომიკაზე.									5
საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სავალდებულო სასწავლო კურსები												

ACCT 3211	FI 3110	საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები 1	<p>სასწავლო კურსი - „საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები“ წარმოადგენს ფინანსური აღრიცხვა-ანალიზის თანმდევ საბაზისო ცოდნას, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოში განხორციელებულ ნებისმიერ ფინანსურ საქმიანობასთან.</p> <p>კურსის განმავლობაში განხილული იქნება საქართველოს საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და მისი მნიშვნელობა საბიუჯეტო შემოსავლების გენერირებაში. სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, შეიწავლონ საგადასახადო დაბეგვრის ძირითადი პრინციპები და გაეცნონ როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ გადასახადებს, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> - საშემოსავლო გადასახადი; - მოგების გადასახადი; - მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი; - დამატებული ღირებულების გადასახადი; - აქციზი; - იმპორტის გადასახადი; <p>გარდა ამისა, კურსი მოიცავს საერთაშორისო დაბეგვრასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა ორმაგი დაბეგვრის თავიდან არიდების პრინციპები და სატრანსფერო ფასწარმოქმნა. კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონს და გადასახადებთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.</p>					5			
ACCT 3212	FI 3110	აუდიტის შესავალი კურსი	<p>აღნიშნული კურსი წარმოადგენს შესავალ კურსს აუდიტში. კურსი ითვალისწინებს სტუდენტებისათვის აუდიტორული და მასთან დაკავშირებული მომსახურების არსის განმარტებას, აუდიტორის პროფესიის, აუდიტის მოთხოვნილების, აუდიტორული დასკვნების, პროფესიული ეთიკის, პასუხისმგებლობის, აუდიტის მიზნების, შიდა კონტროლის სისტემების, აუდიტორული მტკიცებულებების, აუდიტორული დაგეგმვის, მატერიალურობის, რისკების და აუდიტორული პროგრამების შესწავლას.</p>					5			

ACCT 3213	ACCT 2110	ფინანსური ანგარიშგება 1	საგანი შეისწავლის ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ძირითად პრინციპებს და კონცეფციებს. მასში განხილულია ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, წარდგენის ძირითადი ტექნიკა, გრძელვადიანი და მოკლევადიანი აქტივები და ვალდებულებები, მათი დეტალური აღწერა და ანალიზი. ასევე განხილულია ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მოგება ზარალის უწყისი. კურსის მიმოხილვის საგანს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ინფორმაციის დამუშავება და წარდგენა ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის.						5		
ACCT 4112	ACCT 3213	ფინანსური ანგარიშგება 2	საგანი აგრძელებს ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ძირითად პრინციპების და კონცეფციების შესწავლას. მასში განხილულია კაპიტალის ფორმირების გზები, ძირითადი ელემენტები და ანალიზი. იჯარის აღრიცხვის და წარდგენის ტექნიკა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე განხილულია ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი, ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში, ეკონომიკურ მოლოდინში და შეცდომების ანალიზი და გასწორების მექანიზმები.						5		
ACCT 4111	ACCT 3211	საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები 2	<p>სასწავლო კურსი - „საგადასახადო დაბეგვრის პრინციპები“ წარმოადგენს ფინანსური აღრიცხვა-ანალიზის თანმდევ საბაზისო ცოდნას, რომელიც აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოში განხორციელებულ ნებისმიერ ფინანსურ საქმიანობასთან.</p> <p>კურსის განმავლობაში განხილული იქნება საქართველოს საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და მისი მნიშვნელობა საბიუჯეტო შემოსავლების გენერირებაში. სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, შეიწავლონ საგადასახადო დაბეგვრის ძირითადი პრინციპები და გაეცნონ როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ გადასახადებს, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> - საშემოსავლო გადასახადი; - მოგების გადასახადი; - მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი; - დამატებული ღირებულების გადასახადი; - აქციზი; 						5		

MK 3212	MK 2210	მარკეტინგული კვლევა	<p>კურსი განიხილავს კვლევის პრობლემის ფორმულირებას; სხვადასხვა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს; გაანალიზებულია გამოკითხვის ინსტრუმენტები და შეფასებულია მეორადი ინფორმაციის მოძიების გზები. კურსი დეტალურად მიმოიხილავს თუ როგორ უნდა მოხდეს შერჩევა და შერჩევის ზომის განსაზღვრა. გაანალიზებულია მონაცემთა შეგროვებისა და ხარისხის კონტროლის მეთოდები და ასევე აღწერილია როგორ უნდა მოხდეს შეგროვებულ მონაცემთა დამუშავება და ანალიზი. კურსი სრულდება კვლევის შედეგების პრეზენტაციისა და ანგარიშის მომზადების მიმოხილვით.</p>						5		
MK 3213	MK 2210	გაყიდვების მართვა	<p>კურსის განმავლობაში ძირითადი აქცენტები გაკეთდება შეცვლილ ბიზნეს გარემოზე და მის გავლენაზე გაყიდვების მართვაში. როგორ შეიცვალა გაყიდვების მენეჯერების როლი და მოთხოვნები მათ მიმართ, რა მიზნები უნდა გვახსოვდეს, როგორ ვაშენოთ გრძელვადიანი ურთიერთობები და ვაწარმოოთ მოლაპარაკებები, გავუმკლავდეთ ბევრ უარს ან უკმაყოფილო მომხმარებელს, რა ტიპის მომხმარებლები გვხვდება, როგორ იღებენ ისინი გადაწყვეტილებას, როგორ დავგეგმოთ და წავიყვანოთ შეხვედრები ისე რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. რით განსხვავდება საერთაშორისო ბაზარი ლოკალურისგან, როგორ ვიფიქროთ გლობალურად და გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა. როგორ გავაკეთოთ მომხმარებლის სეგმენტაცია, რა გზებით გავიღებთ მიზნობრივ ბაზარზე, პირველი შთაბეჭდილებიდან დაწყებული გაყიდვების სრული პროცესის განმავლობაში იმ ლოგიკური ჯაჭვის შენება მომხმარებლის გონებაში რომელიც შეესაბამება კომპანიის მიზნებს, დამთავრებული გაყიდვების შემდგომი სერვისით. სტუდენტები ასევე ისწავლიან თუ რა ტექნიკები არსებობს მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებისა და სინერჯის შექმნისთვის.</p>						5		
MK 4115		ბრენდის მართვა	<p>მოცემული კურსი მოიცავს იმ სტრატეგიების შესწავლას რომლების აუცილებელია ბრენდის შექმნის, განვითარებისა და შენარჩუნებისათვის. სტუდენტებს კურსის ფარგლებში საშუალება</p>								

MK 4214	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	კურსი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლებს და იხილავს მათ როლს ორგანიზაციაში, ზეგავლენას ორგანიზაციების წარმატებაზე და განვითარებაზე. თანამედროვე ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციები გაანალიზებულია სხვადასხვა დისციპლინის თვალსაზრისით. განიხილება საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორიის შემსწავლელი სხვადასხვა მიდგომები და მათი ეფექტი ორგანიზაციებში წარმატებულობისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარზე. კურსში ყურადღება გამახვილებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე მიდგომების კონცეფციების გამოყენებაზე ყველა ტიპის ორგანიზაციაში და სხვადასხვა სფეროში, ორგანიზაციების ეფექტურობის განვითარების მიზნით.									5
MGS 4213	პროექტების მართვა	პროექტის მართვა უზრუნველყოფს დროითი, ადამიანური და მატერიალური რესურსების დაგეგმვას, ორგანიზებას, უსაფრთხოებას და მართვას პროექტის მიზნების კლიენტის მოთხოვნებისამებრ შესასრულებლად. კურსი მიმოიხილავს პროექტის მენეჯერის წვლილს, პროექტის პრიორიტეტების მართვას, რისკების იდენტიფიცირებას, პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და მათთან კომუნიკაციას, პროექტის გუნდის განვითარების ეტაპებს, ბიუჯეტის, გრაფიკის და შინაარსის, რეპორტინგის და კონტროლის მექანიზმებს.									5
MK 4216	ციფრული მარკეტინგისა და ელ-კომერციის საფუძვლები	ინტერნეტი და მასთან ერთად განვითარებული ტექნოლოგიები უზარმაზარ გავლენას ახდენს დღევანდელ ბიზნეს სამყაროზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ციფრულმა მარკეტინგმა და ელ-კომერციამ ჩვენს ყოველდღიურობაში, რადგან დღევანდელი მომხმარებელი მუდმივად ქმნის ონლაინ კონტენტს, ჩართულია ონლაინ ურთიერთობებში. ამიტომ დღევანდელ მარკეტერებს სჭირდებათ ცოდნა თუ როგორ გამოიყენონ ონლაინ არხები მომხმარებელთან უკეთეს საკომუნიკაციოდ და მათი პროდუქტების ამ ახალი არხით გასაყიდად. წინამდებარე კურსი									5

მენეჯმენტის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები

MGS 3211	MGS 3114	მომხმარებლის გამოცდილების მართვა	მომხმარებლის გამოცდილების მართვა ორგანიზაციული მართვის სტრატეგიაა მომხმარებლის კმაყოფილების, ერთგულების და აქტიური მხარდაჭერის მოსაპოვებლად. კურსი ეფუძნება ქცევის მეცნიერების, ტექნოლოგიების, მარკეტინგისა და ოპერაციების მართვის პრინციპებს და შემდეგ საკითხებს განიხილავს: გამოცდილების ტიპები და პროცესი, გამოცდილების ეფექტურობის შეფასება და კრიტერიუმები (KPIs), მომხმარებლის გადაწყვეტილების გზის კვლევა, ბიჰევიორისტული ეფექტების გავლენა, მომხმარებლის გამოცდილების მართვის ტრანსფორმაცია და მომხმარებლის გამოცდილების მართვის კულტურის დანერგვა ორგანიზაციაში.						2.5		
MGS 3212	MGS 3114	შესაძლებლობების მართვა	შესაძლებლობის ამოცნობა და მართვის შესწავლისას სტუდენტი იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს გარემოს ანალიზისთვის და არსებული და მომავლის ტრენდების ამოსაცნობად, რათა ეს უნარი გამოიყენოს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმების შესამუშავებლად, ორგანიზაციული თუ პირადი კეთილდღეობისთვის						2.5		
MGS 3213	MGS 3114	ორგანიზაციული ქცევა	კურსი იძლევა შესაძლებლობას სტუდენტები გაერკვნენ ინდივიდის ძლიერ და სუსტ მხარეებში. შეეცადონ გამოასწორონ ნაკლოვანებები და აირჩიონ შესაფერისი ურთიერთობის სტრატეგიები ორგანიზაციაში რათა გახდნენ უფრო ეფექტური თანამშრომლები. განხილულია ინდივიდის ორგანიზაციაში ქცევის როგორც მიკრო ასევე მაკრო ასპექტები. ძირეულ თემებს წარმოადგენს: სამსახურით კმაყოფილება, მოტივაცია, სამართლიანობა, სამუშაოს შესრულება და ნდობა. აგრეთვე, საგანი სტუდენტს აძლევს საშუალებას გააცნობიერონ ორგანიზაციული მმართველობა სხვადასხვა მეთოდის საშუალებით, ძირითადად ქეისებისა და გუნდური მუშაობის საუძველზე.						5		
MGS 3214		ოპერაციების მართვა	სასწავლო კურსში მიმოხილულია ოპერაციათა მართვის ძირითადი საკითხები. კურსი ფარავს								

			<p>ოპერაციების აღწერით, საპროგნოზო, შეფასებისა და ოპტიმიზაციის ტექნიკების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, გულისხმობს ამ საკითხების გარშემო ვარჯიშს პრაქტიკული მეცადინეობებისა და ლექციების დროს. ოპერაციების პრინციპულ დანიშნულების განხილვისას გამახვილებულია ყურადღება საოპერაციო მართვის ამოცანებზე, სტრატეგიებზე, ფუნქციებსა და პროცესების ნაირსახეობებზე. კურსის მსველობისას აგრეთვე განხილულია პროდუქტის შექმნისას ტექნიკური დიზაინის, ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების მნიშვნელობა. აღნიშნული საგნის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროგნოზირების, ოპერაციების ლოკაციისა და მიწოდების ჯაჭვის დაგეგმვისა და მართვის, მარაგების მართვის, სიმძლავრეების დაგეგმვისა და მართვის, ასევე რისკების შეფასების, პროექტებისა და ხარისხის მართვის საკითხებს.</p>							5	
MGS 4111		მეწარმეობა	<p>მეწარმეობის კურსი ავითარებს ბიზნესის დაწყებისთვის აუცილებელ ისეთ ანალიტიკურ უნარებს და სტრატეგიულ კომპეტენციებს როგორცაა: შესაძლებლობების ამოცნობა, იდეების განვითარება, რესურსების მობილიზაცია და მართვა და იდეის პრაქტიკულად განხორციელება. კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან მეწარმეობის თანამედროვე მეთოდოლოგიებს და პრაქტიკულად გამოიყენებენ სხვადასხვა ხელსაწყოებს ბიზნეს იდეის განსავითარებლად.</p>							5	
MGS 4112		ადამიანური რესურსების მართვა	<p>ადამიანური რესურსების მართვა ეხმარება ორგანიზაციებს მიზნების მიღწევის პროცესში არსებული და მოსალოდნელი საშემსრულებლო და მმართველობითი პრობლემების გადაწყვეტაში. სტუდენტები გაეცნობიან ადამიანების მართვის თანამედროვე მეთოდებს, საქართველოში და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას.</p>							5	
MGS 4114		მოლაპარაკების წარმოების მეთოდები	<p>სასწავლო კურსი დაეხმარება სტუდენტს მოლაპარაკების წარმოებისათვის აუცილებელი სტრატეგიული და ტაქტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. საგანი ძირითადად ორიენტირებულია მოლაპარაკების დაგეგმვის, გაძღოლის, ინტერესთა მართვის, ღირებულების შექმნისა და დანაწილების მეთოდებზე.</p>							5	

MGS 4115	მიწოდების ჯაჭვის მართვა და ლოგისტიკა	სტუდენტები კურსის განმავლობაში გაივლიან კონცეფციებს, პრინციპებს და საფუძვლებს რომლების გამოიყენება ლოგისტიკაში და განვიხილავთ ამ საკითხებს მენეჯერული, პრაქტიკაზე ორიენტირებული კუთხით. კურსდამთავრებულები განივითარებენ უნარებს გლობალური მიწოდების ჯაჭვის, წარმოების დაგეგმვისა და კონტროლის და ინვენტარის მართვაში. აქცენტი გაკეთებულია იმ კომპანიების ლოგისტიკურ ფუნქციებზე, რომლებიც ჩართული არიან საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზრებზე ვაჭრობაში.							5		
MGS 4216	ხარისხის სრული მართვა	კურსი მოიცავს ხარისხის მართვის სხვადასხვა ელემენტს, ექვს სიგმას (Six Sigma). განხორციელების ინსტრუმენტებსა და მეთოდებს ზუსტად დანიშნულ ვადაში პასუხისმგებლობით წარმოებას, (Just-In-Time manufacturing) გამოცდილების გადაღებას (ბენჩმარკინგი, Benchmarking), მუდმივ გაუმჯობესებას, თანამშრომლების ჩართულობას, ხარისხის უზრუნველყოფის კულტურას, ხარისხის სრული მართვის განხორციელებას. ეს საკითხები საკმაოდ სიღმისეულად არის განხილული, რაც საშუალებას აძლევს დამწყებს შეისწავლოს ყველაფერი, რაც აუცილებელია ხარისხის სრული მართვის გააზრებისა და განხორციელებისთვის, ისე რომ აღარ გახდეს საჭირო ინფორმაციის სხვა წყაროს მოძიება.							5		
MGS 4213	პროექტების მართვა	პროექტის მართვა უზრუნველყოფს დროითი, ადამიანური და მატერიალური რესურსების დაგეგმვას, ორგანიზებას, უსაფრთხოებას და მართვას პროექტის მიზნების კლიენტის მოთხოვნებისამებრ შესასრულებლად. კურსი მიმოიხილავს პროექტის მენეჯერის წვლილს, პროექტის პრიორიტეტების მართვას, რისკების იდენტიფიცირებას, პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და მათთან კომუნიკაციას, პროექტის გუნდის							5		

MGS 4219	ბიზნეს მოდელის ინოვაცია	<p>ბიზნეს მოდელის ინოვაცია არის კონკურენტული უპირატესობების მოპოვების და შენარჩუნების ყველაზე ეფექტური გზა ტექნოლოგიური ინოვაციის, გლობალიზაციისა და ცოდნის ეკონომიკის პირობებში.</p> <p>ამ კურსის მეშვეობით, სტუდენტები გაეცნობიან კონცეფციებს, ინსტრუმენტებს და ტექნიკებს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციები ქმნიან მასშტაბური და გლობალური ცვლილებების წინაპირობას ბიზნეს მოდელის ინოვაციური ტრანსფორმაციით კურსი მიმოიხილავს თუ როდის და რა შემთხვევაში ესაჭიროება ორგანიზაციას ბიზნეს მოდელის ცვლილება, როგორ უნდა შექმნას ახალი ბიზნეს მოდელი და როგორ დანერგოს და მართოს ბიზნეს მოდელის ტრანსფორმაციის პროცესი.</p>											5	
<i>თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები²</i>														
		<i>თავისუფალი კრედიტი (სხვა პროგრამის მოდულის სასწავლო კურსები)</i>												15
<i>ჯამი სემესტრულად კრედიტების</i>				32.5	27.5	33.5	28.5	28	30	30	30			
<i>ჯამი წლიურად კრედიტების</i>				60	62	62	58	60	60					
<i>ჯამი პროგრამულად კრედიტების</i>				240										

² სტუდენტს შეუძლია 15 ECTS კრედიტი სხვა პროგრამის, ან განსხვავებული მოდულის სასწავლო კურსებიდან შეასრულოს თავისუფალი კრედიტის სახით.